2-15892/21
13-12-2021

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს პარლამენტის წევრების ირაკლი ქადაგიშვილისა და გურამ მაჭარაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილია საქართველოს კანონის პროექტი „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/122; 17.11.2021)

„სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ამ კანონის ამოქმედებამდე დამტკიცებული ამავე კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო, გარდა საქართველოს სახელმწიფო ფულის ნიშნისა და ამ კანონის ამოქმედებამდე ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან შეთანხმებული სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოსი, 2022 წლის 1 იანვრამდე ხელახლა უნდა დამტკიცდეს ამავე კანონით დადგენილი წესით. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების ხელახლა დამტკიცება საჭიროებს დამატებით ვადას, ინიციირებული კანონის პროექტი „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ითვალისწინებს აღნიშნული ვადის გაზრდას 2023 წლის 1 ივლისამდე.

დასარეგულირებელი საკითხის თავისებურების გათვალისწინებით, აუცილებელია წარმოდგენილი კანონის პროექტი „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ძალაში შევიდეს 2022 წლის 1 იანვრამდე. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, პარლამენტის საშემოდგომო სესია იხურება დეკემბრის მესამე პარასკევს. ასეთ პირობებში, შესაძლებელია წარმოდგენილი კანონის პროექტის განხილვა და მიღება ვერ მოხერხდეს 2022 წლის 1 იანვრამდე და

არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია წარმოდგენილი კანონპროექტი დაჩქარებული წესით იქნეს განხილული და მიღებული.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ თხოვნით მიიღოთ გადაწყვეტილება აღნიშნული კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ირაკლი ქადაგიშვილი



პარლამენტის წევრი
გურამ მაჭარაშვილი